ელბერდ ბატიაშვილი

პეტრე იბერი:

„საერთო ნიადაგის“ თეორიის ისტორიული და გნოსეოლოგიური ფესვები

თბილისი

2015

პეტრე იბერი:

„საერთო ნიადაგის“ თეორიის ისტორიული და გნოსეოლოგიური ფესვები

„საერთო ნიადაგის“ თეორია XIX – XX საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ–პოლიტიკური აზროვნების უმთავრესი მონაპოვარია. რუსეთის მიერ საქართველოში სახელმწიფოებრიობის მოსპობის შემდეგ, იგი მისი აღდგენის იდეოლოგიური საფუძველი გახდა. მას სათავე დაუდეს 1829–32 წლების შეთქმულების იდეოლოგებმა – ოქროპირ ბატონიშვილმა და სოლომონ დოდაშვილმა, ხოლო სრულყოფილი სახე მისცეს ილია ჭავჭავაძემ და მისმა მიმდევრებმა. ივანე ჯავახიშვილი მას **„საქართველოს მომავლის გზამკვლევს“** უწოდებს...

მაგრამ „საერთო ნიადაგის“ თეორიას თავისი შორეული ფესვებიც აქვს. ეს ფესვები სათავეს იღებს **„ნაადრევი ქართული რენასანსიდან“**. მისი საუკეთესო წარმომადგენელი შოთა რუსთაველი ასე შესთხოვდა შემოქმედს, იმას – **„რომელმან შექმნა სამყარო“**:

„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ
სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც,
დათრგუნვად მე სატანისა!“

„სატანის ძლევის“ ძალას შესთხოვს ღმერთს და იგივე თხოვნა– ვედრება ვინ იცის რამდენჯერ აღავლინა ადამიანმა მანამდეც და მერეც. დღეს ეს რუსთაველური „სატანის ძლევა“ დედამიწისა და კაცობრიობის გადარჩენისა და შემდგომი არსებობა–განვითარების საყოველთაო მოთხოვნა და ღაღადი გახდა...

ჩვენთვის, ქართველებისთვის საამაყო უნდა იყოს, რომ ამ თხოვნა–ღაღადს ქართველი კაცი არაერთხელ გამოეხმაურა და ბოლოს მან „საერთო ნიადაგის“ თეორიის სახე მიიღო. ამ თეორიის სათავეებთან კი პალესტინაში ამ 1500 წლის წინ მოღვაწე პეტრე იბერი (ქართველი) დგას. მან მაშინ ამ თეორიის ძალით თავისებური **„ერთიანი მსოფლიოს და ერთიანი მსოფლიო რელიგიის“** იდეა იქადაგა, ეს ყველაფერი კი, **„ნაადრევი ქართული რენესანსის“** უმთავრესი მონაპოვარია.

მაგრამ X – XIII საუკუნეების ეს **„ნაადრევი ქართული რენესანსი“** სამწუხაროდ, XIII საუკუნის 20–იანი წლებიდან საქართველოს ხანგრძლივი „ძნელბედობით“ შეიცვალა. ილია ჭავჭავაძე ამ ხანას **„საქართველოს ისტორიის**

შავით მოსილ შავ ხანას“ უწოდებს, მაგრამ ამ ხანაშიც ქართულმა საზოგადოებრივ–პოლიტიკურმა აზროვნებამ არ დაკარგა „საერთო ნიადაგის“ ეს ეროვნული და ზოგად–კაცობრიული სულისკვეთება. ეს კარგად ჩანს ყველა იმ მოღვაწეთა მემკვიდრეობაში, რომელთა ნააზრევი „ქართლის ცხოვრებამ“ შემოგვინახა.

სწორედ „ქართლის ცხოვრებამ“ დააფიქსირა ლეონტი მროველის **„კავკასიის საერთო სახლის“** იდეა და მასზე დაფუძნებული **„კავკასიური კონაღობის“** (მეგობრობის, კეთილმეზობლობის) პრინციპი. ქართულ ფოლკლორშიც აისახა ეს თუნდაც ჩვენი ტრადიციული მისალმებით – **„დილა მშვიდობისა – მშვიდობა მოგცეს ღმერთმა!“**. სოლომონ დოდაშვილმა მშვენიერი ანალიზი მოგვცა ყოველივე ამისა ნაშრომში – **„ლოგიკა, ფილოსოფიის შესავალი“**, აგრეთვე, **„მოკლე განხილვა ქართული სიტყვიერებისა“**, სადაც კანონიერი სიამაყით წერს:

„დასამტკიცებლად მისსა, რომელ სიტყვიერება ჩვენი ყოფილა მაღალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა, საკმაო არს წარვუდგინოთ განათლებულსა სჯასა ლექსნი რუსთაველისანი „ვეფხისტყაოსანი““.

„დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება...“

დღევანდელ გლობალისტურ მსოფლიოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ილია ჭავჭავაძის მიერ დამუშავებული „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ–ერთი მთავარი პრინციპი და ერთდროულად, მეთოდიც: **„დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“** ჩვენ მას თსუ სპეციალური სამეცნიერო კრებული მივუძღვენით, სადაც ამ თეზისის საერთაშორისო მნიშვნელობაც აისახა, რაც ამ ფაქტმაც ასაზრდოვა მაშინ:

1961 წლის მაისში საქართველოს სტუმრობდა ნობელის პრესიის ლაურეატი ნილს ბორი. თსუ II კორპუსის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში დღესაც ინახება მის მიერ ლათინურ ენაზე შესრულებული თავისებური ანდერძი–შეგონება, რომლის თარგმანი ასე ჟღერს:

„დაპირისპირებულნი ურთიერთგამომრიცხავნი კი არა, ურთიერთ–შემავსებელნი არიან!“

როცა ჩვენ „თსუ ილიალოგთა კლუბის“ სხდომაზე განვიხილეთ და გავაანალიზეთ იგი, ერთხმად მივედით იმ დასკვნამდე, რომ „საერთო ნიადაგის“ თეორიის ილიას მეთოდი თავისი არსით ორგანულ თანხვედრაშია ნილს ბორის ამ თეზასთან: თუ ჩვენს გარემომცველ სინამდვილესაც დავაკვირდებით, მზის

სისტემიდან მოყოლებული, ჩვენი დედამიწისეული ეკოლოგიური გარემო–პირობებით დამთავრებული, ყველაფერი **„დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგების“** პრინციპზეა დაფუძნებული, ეს ჩვენთვის გახდა დიდი სტიმული შემდგომი კვლევისათვის ამ მიმართულებით: **„ორი დიდი გენიოსის იდეური თანხვედრა“**, – ასეთი პუბლიკაცია მიეძღვნა მას თსუ ზემოდაღნიშნულ სამეცნიერო კრებულში...

ამიტომაც კაცობრიობის დღევანდელ და სამომავლო განვითარებას როცა ვეხებით, უნდა დავასკვნათ: ამ განვითარების არსი და მამოძრავებელი აზრი უნდა გახდეს არა **„სხვადასხვა ცივილიზაციათა და კულტურათა შეჯახება“** როგორც ეს ხშირად ისმის, არამედ ამ დაპირისპირებათა **„ბედნიერი მორიგება“.**

ივანე ჯავახიშვილი – პეტრე იბერიას მკვლევარი

პეტრე იბერიც პირველ რიგში, ამ მიმართებით არის გასააზრებელი. მის კვლევაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ივანე ჯავახიშვილს. **„ქართველი ერის ისტორიის“** თორმეტტომეულში არაერთხელ შეეხო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტებს. პეტრე იბერთან ერთად, იგი გადმოსცემს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების მთელ ისტორიულ პროცესს I საუკუნიდან მოყოლებული პეტრე იბერის ჩათვლით. ამ პროცესის თავისებურება ის იყო, რომ პირველი ქრისტიანების დევნის პარალელურად, საქართველოსა და მთელ ახლო აღმოსავლეთში წარმოიშვა სხვადასხვა, ხშირად ერთმანეთთან მტრულად დაპირისპირებული მიმდინარეობანი: იუდაიზმი, მაზდიანობა, ნესტორიანობა, მონოფიზიტობა, დიოფიზიტობა, შემდეგ კი, მაჰმაედიანობა თავისი სუნიტურ–შიიტური მტრულად დაპირისპირებული განშტოებებით...

„ბაბილონის გოდოლივით“ არეულ–დარეული ეს რელიგიური მიმდინარეობანი ანტაგონისტური დაპირისპირებისა და ბრძოლის მუდმივ საფრთხეს ქმნიდნენ. ამას კაცობრიობის აღსასრულად აღიქვავდნენ მაშინდელი ინტელექტუალები, რამაც „ხსნის“ ძიების პრობლემა ასაზრდოვა მათში. ერთ–ერთი პირველი მათგან პეტრე იბერია – „საერთო ნიადაგის“ პრინციპის პირველი ფუძემდებელი...

„არა კაც ჰკლა – შეიყვარე მტერი შენი“...

პეტრე იბერის ქადაგებანი დაკავშირებულია პალესტინასთან და ღაზასთან. აქ ააშენა მან ერთ–ერთმა პირველმა „პეტრე იბერის მონასტერი“. შემდეგ საუკუნეებში მათმა რაოდენობამ 30–ს გადააჭარბა. მისი დამსახურებაა, რომ ქართველ მომლოცველებს იერუსალიმში შესვლის და ცხოვრების გარკვეული პრივილეგიები ჰქონდათ. იერუსალიმიც თავისებური მიზიდულობის ადგილს წარმოადგენდა მათთვის... თამარ მეფის იერუსალიმში დაკრძალვის ვერსიაც უთუოდ აქედან მომდინარეობს...

მაგრამ ესეც გასათვალისწინებელია დღევანდელი გადასახედიდან: რელიგიურად აჭრელებულ ახლო აღმოსავლეთში პეტრე იბერის მშვიდობისმყოფლობისკენ მოწოდება **„გონებრივი განწმენდის გზით“** თანაბრად მიუღებელი გახდა ყველასთვის, მათ შორის ქართველებისთვის. ეს განსაკუთრებით შემდგომი პერიოდის იმ ისტორიულ პირობებში, როცა VI საუკუნეში თვითონ ქრისტიანულ მოძრაობაში აშკარად გამოიკვეთა დიოფიზიტთა და მონოფიზიტთა დაპირისპირება. ამას ზედ დაერთო ბიზანტიურ–სპარსულ–არაბული სამყაროს სამკვდრო–სასიცოცხლო ომები, რამაც თანდათანობით რელიგიური შეფერილობა მიიღო და ამდენად თვითეული მხარე ცდილობდა სათავისოდ გამოეყენებინა რელგიური ფაქტორები.

ასეთ პირობებში **„არა კაც ჰკლა და შეიყვარე მტერი შენი“** რჩებოდა მუდამ **„ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“**. პეტრე იბერის ქადაგებებსაც ეს ბედი ეწია და ამითაც აიხსნება, რომ რატომღაც მონოფიზიტად შერაცხული, თავის სამშობლოშიც კი, დავიწყებული და უარყოფილი იქნა. არადა, სინამდვილეში იგი არც მონოფიზიტი იყო და არც დიოფიზიტი – მისი ცხოვრების არსი იყო მათ და სხვა დაპირისპირებათა **„ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“...**

მართალია ქრისტიანობა საქართველოში IV საუკუნეში გახდა სახელმწიფო რელიგიად, მაგრამ პირველი ქრისტიანი მქადაგებლები აქ I საუკუნიდანვე გამოჩნდნენ. ანდრია „პირველწოდებული“ და „ღვთისმშობელი მარიამის“ იბერიის „წილხვდომილობაც“ თავისთავად მეტყველებენ ამაზე. ივანე ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ წმინდა ნინოს ქადაგებამდე და მირიანის მეფობამდე ადრე, ქრისტიანი მეფეები იბერიაშიც და კოლხეთშიც ადრეულ საუკუნეებში არიან სავარაუდებელი. ბ–ნი ივანე წერს:

„ყოველი ახალი მოძღვრება თანდათანობით ვრცელდება და მხოლოდ ნიადაგის სათანადოდ მომზადების შემდგომ ახერხებს ხოლმე გაბატონებას. საქართველოში ქრისტიანობის თანდათანი გავრცელების ისტორიის შესასწავლად უძველესი ძეგლების დაღუპვის გამო, სანდო ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ იმ ორიოდე ცნობიდანაც, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს, ნათლად ჩანს, რომ წინათ

ამის შესახებ არაერთი საყურადღებო ცნობა უნდა ყოფილიყო“ (ტ.I გვ. 267–268), „ქართველი ერის ისტორიის“ ამავე პირველი ტომის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს პეტრე იბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი და როგორც ბატონი ივანე ამტკიცებს სხვადასხვა ბერძნული, ასირიული, ქართული და სომხური წყაროებით, ამ დიდი ქართველის მოღვაწეობის დაკნინება – მიფუჩეჩება ძველ საქართველოში გამოწვეულია მისი ვითომცდა მონოფიზიტობით.

მარტო მონოფიზიტობა?!...

მაგრამ V საუკუნის საერთო ვითარების გათვალისწინებით, ვფიქრობთ ამ მოვლენის ახსნას დღეს სხვანაირი მიდგომა სჭირდება: მონოფიზიტომასა და დიოფიზიტობას შორის დაპირისპირება გაცილებით გვიან, VII საუკუნის დასაწყისში მოხდა და ამდენად, ამას ნაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს პეტრე იბერის შესახებ წყაროების ნაკლებობასთან. თვითონ ივანე ჯავახიშვილსაც ამავე ტომში მოჰყავს სომხურ და ქართულ ეკლესიებს შორის „განხეთქილების“ ისტორია და მას ცალკე თავს და რამდენიმე ქვეთავსაც უძღვნის ნაშრომის სხვა თავებშიც, სადაც მონოფიზიტობა – დიოფიზიტობის და ქართულ–სომხური დაპირისპირება აქვს გაანალიზებული:

„ორივე მხრით მიწერ–მოწერა ისეთი კატეგორიული კილოთი წარმოებდა, რომ ატეხილი უთანხმოების დაცხრობა და მშვიდობიანობის დამყარება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო მოსალოდნელი, თუ რომ ერთ–ერთი მათგანი თავის რწმენას დასთმობდა. მიწერ–მოწერის დასაწყისშივე ეტყობოდა, რომ სომეხთა ეკლესიის მესვეურთ განხეთქილების ჩამოგდება გადაწყვეტილი ჰქონდათ, თუ რომ საქმე მათი სურვილისამებრ არ მოგვარდებოდა“...

კვირიონ ქართლის კათალიკოსი და იბერიის მმართველი წრეები თავიანთ თავს მართლად სთვლიდნენ და აბრაამ კათალიკოსს კირიონმა თავის მეორე წერილში მკაცრად შეუთვალა: **„თუ ერთობისა და სიყვარულის დაცვა და ჩვენთან მშვიდობიანი განწყობილება გინდათ, ჩვენ ამისთვის მზად ვართ, ხოლო თუ სხვას ფიქრობთ, ამისთვის კვლავ ნუღარ მოგვწერთ“...** მაგრამ პასუხად სომხეთიდან თავისებური ულტიმატუმი მიიღო. ამიტომაც, თავის უკანასკნელ წერილში აბრაამს სიტყვა მოკლედ და კატეგორიულად მოუჭრა:

„თუ რომ ჩვენი სარწმუნოების გამოძიება და ცოდნა გნებავთ, მე გადმოვათარგმნიე და გაახელით ოთხთა კრებათა წიგნები, რომლებითაც ჰრომნი

ხელმძღვანელობენ და წმინდა სიონში იქადაგების. თქვენ გინდათ თუ არა ეს, ჩვენი სარწმუნოებაც სწორედ ეს არის“.

ასეთი გადაჭრითი პასუხის შემდეგ მიწერ–მოწერას უკვე აღარავითარი აზრი აღარ ჰქონდა..., მაგრამ სომეხთა კათალიკოსმა ეპისტოლე გამოსცა, რომელშიც ნათქვამი იყო: **„ქართველებთან აღარავითარი დამოკიდებულება აღარ უნდა გვქონდეს არც ლოცვაში, არც მეგობრობაში, არც ჭამა–სმაში, არც შვილების აღზრდაში, ერთმანეთთან ჯვარის წერაშიც. ნებადართულია მათთან მხოლოდ ყიდვა–გაყიდვა“.** ეს ეპისტოლე პირდაპირ უკავშირდება რომთან და ბიზანტიასთან დაპირისპირებული სპარსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს...

ივანე ჯავახიშვილი ყოველივე ამას ეროვნული მოტივებითაც ხსნის და ამას ცალკე ქვეთავსაც უძღვნის („უთანხმოებაში ეროვნული მომენტის შეჭრა“), მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეროვნულთან ერთად, აქ თავისი როლი ითამაშა გლობალურმა ფაქტორებმაც: კირიონის წერილში ტყუილად არ არის ნახსენები „ჰრომი“ და „ოთხთა კრებათა წიგნები“ – რომი ხომ, მაშინ მსოფლიო პოლიტიკის ეპიცენტრს წარმოადგენდა, რასაც სპარსეთი უპირისპირდებოდა. სომხეთი კი, მაშინ სპარსეთის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა... თავის მხრივ კი, ეს ყველაფერი უკავშირდება პეტრე იბერის მოღვაწეობის იდეოლოგიურ საფუძვლებს და პოლიტიკურ მსოფლმხედველობას.

„ერთიანი მსოფლიო რელიგია“ და მსოფლიო სახელმწიფო.

მიუხედავად წყაროთა სიმცირისა, სრულიად აშკარად იკვეთება პეტრე იბერის მსოფლმხედველობის ის ძირითადი მიმართულება და არსი, რომელსაც დღეს ცნება – „გლობალიზმით“ ავღნიშნავთ. დავაკვირდეთ – თვით პეტრე იბერის მოვლინება ამქვეყნად რაღაც ღვთიური მიღმურობითა და იდუმალების შარავანდედით არის გადმოცემული მისი ბიოგრაფების მიერ:

„მეფე ვარაზ ბაქარი იყო უშვილო... ძილში მას ნათლის ბრწყინვალე ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: ღმერთმა შეისმინა შენი ვედრება და მოგეცემა ძე, რომელიც იქნება დიდი და სრული ღმრთისა...“

12 წლის ასაკიდან აღზრდა–განათლება მოუწია კონსტანტინეპოლის უნივერსიტეტში და იმპერატორის კარზე, მაგრამ „... არ ესწრაფოდა ამა სოფლისა დიდებასა, არამედ მომეტებულად ლოცულობდა, მარხულობდა და სიწმიდით ცხოვრობდა... მსწრაფლ შეისწავლა ენა ბერძნული და ასურული და სრულად დაეუფლა ფილოსოფიას...“

წყაროებით დგინდება, რომ კონსტანტინოპოლის შემდეგ მან მთელი ცხოვრება ღაზასა და პალესტინაში გაატარა... „... იერუსალიმს უფლის საფლავზე აღიკვეცა მონაზვნად და მურვანოსს უწოდეს პეტრე... და ნეტარი პეტრეს ფრიადი ქება აღწერა თავის წიგნში გრიგოლ დიადოღოსმა, რომის წმინდა პატრიარქმა“.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქრისტიანობის დევნის შემდეგ III – IV საუკუნეებში დაიწყო ქრისტიანობის, როგორც მსოფლიო რელიგიის, აღმავლობის ხანა და პეტრე იბერიც ამ პროცესის სათავეებთან დგას...

მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს იყო დიდი სარწმუნოებრივი დაპირისპირების, შეუწყნარებლობისა და სისხლისმღვრელი ომების ეპოქაც. განსაკუთრებით ეს მომდევნო ეპოქებზე ითქმის, როცა ახალმა მსოფლიო რელიგიამ – მაჰმადიანობამ სამკვდრო–სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა ქრისტიანობას, „ჯვაროსნული ლაშქრობების“ მთელი ჯაჭვი რომ ასაზრდოვა ახლო აღმოსავლეთში. უკვე პეტრე იბერის ეპოქაშივე ნათელი გახდა, რომ ყოველივე ეს გლობალურ კატაკლიზმებამდე მიიყვანდა მაშინდელ მსოფლიოს, იმ პროცესებამდე, რასაც დღეს ჩვენ **„კულტურათა და ცივილიზაციათა შეჯახებას“** ვუწოდებთ სწორედ ამ „შეჯახების“ თავიდან აცილებას ცდლობდა მაშინ პეტრე იბერი...

ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია...

კითხულობ „ქართლის ცხოვრების“ გაყვითლებულ ფურცლებს და ეს ფრაზა აეკვიატება კაცს, მაგრამ ესეცაა საფიქრებელი: უთუოდ, ისინი, ვინც ამ ფურცლებს თუ ეტრატებს წერდნენ თავის ეპოქასთან ერთად, შემდგომი ეპოქებისაკენაც იხედებოდნენ: ძველი ხომ, იმიტომაც გვჭირდება, რომ ახლის და მომავლის ორიენტირები განვსაზღვროთ სწორად...

ეს დღევანდელი „გლობალიზმიც“ არ ახალი, ძველია. იგი ქრისტიანობამდეც დაიწყო ალექსანდრე მაკედონელის, თუ რომაელთა ლაშქრობებით აფრიკასა და აზიაში, – მათი ნაკვალევი ხომ, ჩვენთანაც არის შემორჩენილი... ფარსმან ქველის ისტორია, რომში მისი სტუმრობა და მისთვის იქ ცხენიანი ძეგლის დადგმა, რა თქმა უნდა, ცნობილი იყო პეტრე იბერისთვის და ეს გარკვეული ორიენტირიც იყო მისთვის.

მონოვიზიტობა – დიოფიზიტობაც მაშინდელი „გლობალიზმის“ ანარეკლია: მაშინაც მიდიოდა ბრძოლა დასავლეთ–აღმოსავლეთს შორის და პეტრე იბერი ამ ბრძოლის შუაგულში დგას თავისი მოღვაწეობით ღაზასა და

პალესტინაში. მაგრამ დგას არა როგორც მებრძოლი და მხარე, არამედ როგორც დაპირისპირებულ მხარეთა მომრიგებელი. „შეიყვარე მტერი შენი“ – მისი ცხოვრების არსი იყო. ამიტომაცაა, რომ იგი სამი ეკლესიის წმინდანია და მისი დიდი დამსახურებაა, რომ ქართველებს საუკუნეთა მანძილზე იერუსალიმში პრივილეგიები ჰქონდათ, ქართული ეკლესიები და კულტურის ცენტრებით მოფენილი იყო პალესტინაც და ღაზა–სინაის ტერიტორიაც, სანამ **„ძნელბედობამ არ წარახდინა ქართველთა სახელი და ქართული წეს–წყობა“...**

ეს ილიას სიტყვებია „მგზავრის წერილებიდან“ და მისი ერთ–ერთი დიდი ოცნებაც ის იყო, რომ რამენაირად გადაგვერჩინა ეს „ძველი დიდებული საქართველოს სიძველენი“. არაერთი წერილი და სტატია მიუძღვნა ამ პრობლემას. „ზოგი ჭირი მარგებელია“ და მას მიაჩნდა, რომ უნდა გამოგვეყენებია რუსეთის ძალა და ავტორიტეტი როგორც მართლმადიდებელი ქვეყნისა ამ მიმართებით. მაგრამ ესეცაა – თუ სათავისოდ არ სჭირდებოდა, საჩვენოდ რუსეთი არასოდეს ერთ ნაბიჯსაც არ გადადგავდა. შემთხვევითი არაა, რომ პეტრეს გმობა და იგნორირება მათი ერთ–ერთი მოთხოვნა იყო ქართული ეკლესიისადმი – მისი მშვიდობისმყოფლობა არაფერში სჭირდებოდა რუსეთს...

„ათასი წელი, ვითარცა დღეი ერთი“...

ეს რუსთაველის სიტყვებია ამ ბიბლიური შეგონებით პოემის ბოლოში თქმული: „ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი, წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი“. ჩვენმა ენამაც შექმნა ვინ იცის სად და როდის ეს დიდი ქართული სიტყვა – „წუთისოფელი“ და მასზე აგებული ეს ფილოსოფიაც – „წუთისოფელი ასეა, დღეს ღამე უთენებია“. და ჩვენც მოვდივართ ამ წუთისოფლად, ისე როგორც ჩვენამდეც იარა ბევრმა, მათ შორის პეტრე იბერმა...

მაგრამ ის რაც წამი და წუთია ერთი კაცისთვის, ის ათასი წელია ბოლოს ისტორიისთვის. ეს ისტორიაც ხომ, სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ნების გამოვლენა დედამიწაზე. ჩვენ კი ამ „წამებით“ და „წუთისოფლობით“ ვცდილობთ ჩავწვდეთ ჩვენს ადგილს და როლს ამ ნების გამოვლენაში. ჰეგელმა „აბსოლუტური სულის თვითშემეცნების პროცესი“ უწოდა ადამიანის ამ მისიას დედამიწაზე. ამ პროცესის განხორციელებაში კი, იგი განსაკუთრებულ როლს „კავკასიურ რასას“ ანიჭებს, განსაკუთრებით – „ჩერქეზებს და ქართველებს“.

პეტრე იბერის ბიოგრაფები ერთხმად აღნიშნავენ მის მოწიწებას და პატივისცემას წარსულის სიბრძნისა და მეცნიერებისადმი. მისი ნეოპლატონური

ფილოსოფიაც ხომ, ამ ნიადაგზე წარმოიშვა, როგორც შემაერთებელი ხიდი ქრისტიანობამდელი და ქრისტიანული სწავლებებისა. აკი, მეტაფორითაც გამოხატავდა იგი ამას: „როგორც ზვარი ურწყავი განხმების, ასევე უნაყოფოა გონება ჩვენი თვინიერ სწავლებათა“. ესეც სრულ თანხვედრაშია „მეცნიერების გასარწმუნოების და სარწმუნოების გამეცნიერების“ ილიას იდეასთან, რომელიც მან გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის დღეს წარმოთქმულ სიტყვაში განავითარა 1896 წელს...

„არეოპაგიტიკის“ კვლევისას ერნესტ ჰონიგმანი პეტრე იბერის კვალამდე ისევ მეორე ქართველმა, კონსტანტინეპოლში ჭაბუკი ქართველი უფლისწულის მასწავლებელმა იოანე ლაზმა მიიყვანა: ანტიკური ეპოქის ძველი ბერძენი ფილოსოფოსების მსგავსად, პეტრე იბერს ხომ, თვითონ პირადად არაფერი დაუწერია – მისი ნააზრევი ჩვენამდე იოანე ლაზმა, აგრეთვე, იოანე რუფუსმა და ზაქარია ქართველმა წარმოაჩინეს ამ 1500 წლის წინ. ეს ჩვენთვის უშველებელი ხანაა, მაგრამ ამასთან, „დღეი ერთია“ ამ უსასრულო სივრცესა და დრო–ჟამის უწყვეტ მდინარებაში. ილია „წყევა–კრულვიან საკითხავს“ უწოდებდა იმას, რასაც ვერასოდეს ახსნის და გაითავისებს კაცის გონება და რომელიც მხოლოდ იმისი ასახსნელი და განსაგებელია, „რომელმან შექმნა სამყარო...“

„შური არს მწუხარებაი ...

ესეც ძველი ანტიკური სიბრძნეა, სულხან საბას მიერ ქართულად აჟღერებული – **„შური არს მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა“**. ჭეშმარიტად რომ ასეა: დრო–ჟამი ადამიანში გარეგნულად ბევრ რამეს ცვლის, თვით მის მეტყველებასაც, ცვლის კი არა, ხშირად კლავს კიდეც მთლიანად („მკვდარი ენებიც“ ხომ ამან შვა), მაგრამ ვერ ცვლის ათასი კი არა, ასი ათასი წელიც რომ გავიდეს, იმას რასაც კაცის თუ ხალხის „ფსიქო–გენეტიკური კოდი“ ჰქვია, იმას რასაც ჩვეულებრივად, ფოლკლორში კაცის ხასიათს და ჯიშ–ჯილაგს უძახიან...

შური და ღვარძლი რასაკვირველია, პეტრე იბერამდეც იყო, მის ეპოქაში და მის შემდეგაც დღემდე. კაცისა და კაცობრიობის თანმდევ ამ არაკაცურ და უზნეო ქცევა–ქმედებაზე აკი, ვაჟამაც თქვა გენიოსურად ანტიკური მოაზროვნეებიდან 2000 და მეტი წლის შემდეგ:

„ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი!“.

სრულიად განსხვავებული სიტყვებით და ფორმით, მაგრამ იგივე აზრი და შინაარსია აქ გატარებული და პეტრე იბერის ბედიც გარდაცვალებამდე და გარდაცვალების შემდეგაც ზუსტად ესადაგება ვაჟა–ფშაველას ამ პოეტურ გააზრებას: ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლში დაუწყეს მას მტრულად და ალმაცერად ყურება – არ მოსწონდათ და შურდათ მისი წარმატებანი. შალვა ნუცუბიძის აზრით, ამის მიზეზი შეიძლება იმპერატორის კარის მაშინდელი ლამაზმანებიც იყვნენ – ახალგაზრდა ქართველი უფლისწულის სასიყვარულო თავგადასავლები... მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო პეტრე იბერის შემდგომი სამონასტრო ცხოვრების მიზეზი, ფაქტი ერთია:მან უყოყმანოდ მიატოვა ამქვეყნიური ცხოვრების ყველა ვნებანი და სიკეთენი ღმერთთან მიახლოების მიზნით. ამან მოუპოვა მას არნახული ავტორიტეტი და სიყვარული პალესტინაში.

ისიც ფაქტია, რომ არც საეკლესიო – სამონასტრო ცხოვრებაში ესწრაფვოდა რაიმე კარიერას და პრივილიგიებს. მან ხომ კატეგორიულად უარყო მიაუმის ეპისკოპოსობა პალესტინაში, მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორი და დედოფალიც სთხოვდნენ ამას. იგი მხოლოდ მაშინ დათანხმდა ეპისკოპოსობას, როცა ხილვის დროს თვითონ ქრისტემ გამოუცხადა – მანდ, დედამიწაზეც მჭირდება ჩემი სიტყვის და საქმის ხალხთან მიმტანნი.

თუ რამდენად წარმატებით შეასრულა ეს ფუნქცია მან, კარგად ჩანს მისი ბიოგრაფების მიერ ერთხმად ნათქვამი და აღწერილი მრევლის მიერ პეტრე იბერის მიმართ გამოჩენილი საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა. შეიძლება ესეც შეშურდათ მათ, ვინც მაშინაც და შემდეგშიც პეტრე იბერი „მწვალებლად“ გამოაცხადეს. რას ვიზამთ, შური ხომ, **„მწუხარებაა სხვისა კეთილსა ზედა“**. უთუოდ, პეტრე იბერიც ამ შურის მსხვერპლი გახდა მაშინ და შემდეგ საუკუნეებშიც...

დღესაც შურის მდაბალი გრძნობა აწუხებს ძალიან ბევრს. ეს გრძნობა ასაზრდოებს ქვეყნებს და ხალხებს ერთმანეთის სიძულვილისკენ, ბევრგან დღეს გაბატონებულ ანტიევროპული თუ ანტიამერიკული განწყობისაკენ. ეს შურია, რომ „შეჯახებისკენ“ უბიძგებს სხვადასხვა კულტურებს და ცივილიზაციებს და მათ ლიდერებს, პოეტურად რომ ვთქვათ – „და აღიძვრიან იმავ მიწისთვის, რომელ დღეს თუ ხვალ თვითვე არიან...“

სწორედ ამას აღუდგა წინ პეტრე იბერი თავისი **„გონების განწმენდის“** მოწოდებით...

– სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს...

პეტრე იბერისთვის მის ეპოქაში არსებული სარწმუნოების სხვადასხვაობა არ წარმოადგენდა დაუძლეველ წინაღობას საყოველთაო მშვიდობისა და სიკეთის გზაზე. ამიტომაც იყო, რომ იგი სამმა ეკლესიამ აღიარა წმინდანად – ყველა მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს მის ამ „შუალედურ პოზიციას“ და ეს არც არის გასაკვირი: მაშინაც და მერეც „საერთო ნიადაგის“ თეორიის უმთავრესი აზრი და არსი სწორედ დაპირისპირებულთა „ბედნიერი მორიგებაა“. სიკეთისა და მშვიდობის სუფევა ამქვეყნად სხვანაირად შეუძლებელია...

სტატიაში – „ოსმალოს საქართველო“, ილია სწორედ პეტრე იბერის ამ დიდ იდეას ანვითარებს: ისტორიამ ისე ინება, რომ ადამიანები ერთმანეთს დააშორა და გაყო სხვადასხვა რწმენის აღმსარებლებად, მაგრამ ამასთან მათში ასევე ძლიერი ლტოლვაა ერთობისა და „საერთო ნიადაგზე დგომისაკენ“.... სწორედ ამ უკანასკნელს უნდა ხელისშეწყობა, რამეთუ ამქვეყნად ერთი დიდი საერთო–ისტორიული საწყისი აქვს თვითეულ ერსაც და კაცობრიობასაც:

„ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს, იგია საგანძე, სადაც ერი ჰპოულობს თავის სულის ღონეს, თავისი გულის ძგერას, თავის ვინაობას... ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარ–ტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა“.

პეტრე იბერიც იმას ჩააგონებდა ყველას – ქრისტიანებსაც და არაქრისტიანებსაც, რომ დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს ერთი წარსული, ერთი აწმყო და ერთი მომავალი გვაქვს. ეს ქართული სიტყვაც – „დედა მიწა“ სწორედ ამას უსვავს ხაზს. დღეს, როცა ამ ჩვენს საერთო დედამიწას სამხედრო–პოლიტიკური, თუ ეკოლოგიური ხასიათის არაერთი მომაკვდინებელი საფრთხე ემუქრება, კარგი იქნება თუ ყურს ვუგდებთ ამ ძველ სიბრძნე–შეგონებას...

„ყველა დიდნი გმირობანი მხოლოდ სულის ღონეა და სხვა არაფრის...“

„სულის ღონე“ – ეს კიდევ ერთი საერთო პოზიციაა პეტრე იბერის და ილია ჭავჭავაძის. მათი ერთობლივი „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ–ერთი სახელმძღვანელო ზნეობრივი პრინციპიც ამას ეფუძნება და აქედან იღებს სათავეს. ეს ამასთან, იმის დიდი იმედიცაა, რომ კაცობრიობა შესძლებს წარმატებით გაუმკლავდეს ასე მოძალებულ „შეჯახების“ საშიშ პრობლემებს...

სულის, სულიერების პრიმატობის ეს პრინციპი უმაღლესი ზნეობრივი ღირებულების გამოხატულებაცაა. ეს ილიასეული „დიდნი გმირობანიც“ ამით საზრდოობენ მუდამ. პეტრე იბერის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ამ უმაღლესი ზნეობის მაგალითია ისევე როგორც ილიას ცხოვრება და მოღვაწეობაც. ილია ხომ ერთ–ერთი პირველი იყო უახლეს ისტორიაში, რომელმაც მოითხოვა სიკვდილით დასჯის გაუქმება. ესეც სიმბოლურია ამ მხრივ – ჯერ კიდევ ჭაბუკმა შეუნდო თავის მკვლელებს ლექსით „ლოცვა“:

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენ წინა:
არცა სიმდიდრის, არცა დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხვჰყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნები სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდაც გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე – „შეუნდე, არ იციან ღმერთო, რას იქმან!“

„საყოველთაო სიკეთე და მშვიდობა“ გიყვარდეთ, ძალიან კარგია, მაგრამ ამ „შურის მწუხარებას“ რა ვუყოთ?! „შური“ მაშინაც და დღესაც ხომ, ისეთი რამაა, რომელიც ძირშივე სპობს მას: ისიც კი, შურთ, შენ რომ არა გშურს! აკი, პეტრე იბერსაც ამიტომ გადაეკიდნენ და უარყვეს მაშინაც და მერეც...

შურის მომაკვდინებელი ცოდვა და გრძნობა ცალკე კაცის გარდა, არანაკლებ ახასიათებს ხალხებსაც: შურმა აღანთო რომის დასანგრევად არაერთი ხალხი, მერე კი, ევროპასაც ესტუმრა ეს ცოდვა სისხლისმღვრელი მსოფლიო ომი რომ ასაზრდოვა...

კაცობრიობის ხსნა–„გონების განწმენდაა!“...

ეს თეზისი ისეთივე აქტუალურია დღეს, როგორც მაშინ. მეტიც, დღეს იგი სამკვდრო–სასიცოცხლო სიბრძნედ და შეგონებად მოჩანს, ვიდრე პეტრე იბერის ეპოქაში. „გონების განწმენდა“ რომ ადვილი საქმე არაა, ამაში პეტრე იბერი თავისი, თუ სხვათა ცხოვრებით არაერთგზის დარწმუნდა...

„შეიცანი თავი შენი“ – ამით ხელმძღვანელობდა და მისი ერთგული დარჩა ღრმა სიბერემდე. „არეოპაგიტული ნაწერები“ იმის მანიშნებელიცაა, რომ მან ამას მიაღწია კიდეც. ამიტომ უწოდებს მას „საქართველოს ოქროს ხანის“ დიდი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი არა მარტო საქართველოს, არამედ „მსოფლიო

მეოხესაც“: მან მართლაც შესძლო იქ, პალესტინასა და ღაზაში ანტიკური ფილოსოფიის გადახარშვით მსოფლიოს მომავლის ერთადერთი გზის – „გონების განწმენდის“ ჩვენება საკუთარი მაგალითით...

მაგრამ „გონების განწმენდა“ რომ ადვილი საქმე არაა, კაცობრიობის მთელი ისტორია გვიმტკიცებს ამას, ისტორია, რომელიც დღეის ჩათვლით სისხლითა და ცრემლით არის გაჟღენთილი. რამდენი მოაზროვნე ცდილობდა და ცდილობს დღესაც ისეთი ახსნა მოუძებნოს ამას, რომელიც ბოლოსდაბოლოს ბოლოს მოუღებს ამას – ომისა და მშვიდობის პრობლემებზე ხომ ყველაზე მეტი თქმულა და დაწერილა დღემდე. ეს პეტრესეული „გონების განწმენდაც“ ამ ფიქრისა და ძიების შედეგია თავის დროზე...

მაგრამ როგორ, რანაირად, რა გზით და საშუალებებით უნდა მოხდეს ეს – აი, შექსპირისეული „ყოფნა–არყოფნის“ კითხვა დღეს: ახალი საუკუნე და ახალი ათასწლეული გვთხოვს მასზე პასუხს და აქაც პასუხის ძიებაში ერთად უნდა დავდგეთ დასავლეთიც და აღმოსავლეთიც, ჩრდილოეთი და სამხრეთი, რამეთუ სხვანაირად, თუ ეს პეტრე იბერისეული „გონების განწმენდა“ ვერ შევძელით, მაშინ სასრული მიეცემა ამ „მსოფლიო მეოხებასაც“...

რა იქნება ჩვენთვის XXI საუკუნე – „მამა თუ მამინაცვალი“!?

წამი იქნება „ესე სოფელი“, თუ „წუთისოფელი“ და თუნდაც „ათასი წელი“, დრო–ჟამი დედამიწასთან ერთად, ჩვენს დაუკითხავად მიჰქრის, ვინ იცის საით და რისთვის. პეტრე იბერიდან 1500 წელზე მეტი გავიდა და ეს კითხვა – დილემა მარადიულად დგას კაცისა და კაცობრიობის წინაშე...

მას ილიამაც „უძღვნა“ თავისი კალამი ქართული ნოველის შედევრში – „ოთარაანთ ქვრივის“ XXI თავში – „ეძახის“, სადაც თავისი გაორებული გმირის საამქვეყნო ცხოვრებას ამთავრებს:

„ეს იყო ის, რომელსაც მთელს სოფელში არ ეძინა...

– ვინ მეძახის, ვინ!, – იძახოდა ძალადაკარგული სნეული თავის გულში...

– მივაღწევ კი? – ჰკითხა თავის თავს...

– კიდევ, კიდევ მეძახის! ... დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს!... მოვდივარ, მოვდივარ!...

... ფეხი ორღობეში რომ გადმოდგა და დაინახა ახლად მოსული, ფეხუხლებელი თოვლი, სთქვა:

– ჯერ უწმინდური და მურტალი ფეხი ადამიანისა არ მოჰხვედრია და არ გაუცოდვიანებია ეს უცოდველი თოვლი...

მართალი უთქვამთ: წუთისოფელი ზოგისთვის მამაა, ზოგისთვის – მამინაცვალიო“.

ილიას გმირი გიორგი – საქართველო თავის ბედისწერას ემსხვერპლა, ავტორი და მისი მეორე გმირიც მერე მის ამ ბედისწერას გადაჰყვნენ, ამიტომ დაისვა „მამა–მამინაცვალის“ ეს კითხვაც, რასაც პასუხი გაეცა ბოლო, XXII თავში – „წყევა–კრულვიანი საკითხავი“.

დღეს ჩვენს წინაშეც ეს ილიასეული „წყევა–კრულვიანი საკითხავი“ დგას: შევძლებთ კი, ადექვატური პასუხი გავცეთ იმ დიდ იდეას, რომელიც პეტრე იბერიდან მოდის? დღემდე რომ ვერ შევძელით ეს, ცხადზე ცხადია...

ამიტომაც გვინდა, რომ „საერთო ნიადაგის“ ამ მდიდარ მემკვიდრეობაზე ჩატარდეს ფართო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რათა „კულტურათა და ცივილიზაციათა შეჯახების“ ალტერნატივად დიალოგისა და „გონების განწმენდის“ იდეამ გაიმარჯვოს. იქნებ ამჯერად მაინც შევძლოთ „საერთო ნიადაგის“ თეორიის იმ სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპების მოძიება–დადგენა, რომლებიც „გონების განწმენდას“ იდეიდან საქმედ აქცევს...

ჩვენ გვწამს, რომ რაც დრო გავა, „საერთო ნიადაგის“ თეორია კაცთა მოდგმის გზამკვლევი გახდება დედამიწაზე. ამ რწმენას გვაძლევს პეტრე იბერი და მისი იდეების კიდევ ერთი გამგრძელებელის – შოთა რუსთაველის ეს ოპტიმიზმი: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“. ეს ოპტიმიზმიც მისი ხომ, აქედან მოდის – „რაცა ღმერთსა არა სწადის, იგი საქმე არ იქნების!“...

მაგრამ ესეცაა – ამ „წადილს“ აღსრულება უნდა ჩვენგან, მას ჩვენც უნდა შევაშველოთ ხელი, რამეთუ ამ საქმისთვის ვართ ამ წუთისოფლად მოსულები. ამ მრწამსს და იდეას ქადაგებდა პეტრე იბერი და ეს იდეა და მრწამსი დაუდო საფუძვლად ილიამ თავის „საერთო ნიადაგის“ თეორიას...

სარჩევი:

		გვ.
პეტრე იბერი:		1
1.	„საერთო ნიადაგის“ თეორიის ისტორიული და გნოსეოლოგიური ფესვები	1
2.	„დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება...“	2
3.	ივანე ჯავახიშვილი – პეტრე იბერიას მკვლევარი	3
4.	„არა კაც ჰკლა – შეიყვარე მტერი შენი“...	3
5.	მარტო მონოფიზიტობა?!	5
6.	„ერთიანი მსოფლიო რელიგია“ და მსოფლიო სახელმწიფო	6
7.	ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია...	7
8.	„ათასი წელი, ვითარცა დღეი ერთი“...	8
9.	„შური არს მწუხარებაი“ ...	9
10.	– სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს...	10
11.	„ყველა დიდნი გმირობანი მხოლოდ სულის ღონეა და სხვა არაფრის...“	11
12.	კაცობრიობის ხსნა–„გონების განწმენდაა!“...	12
13.	რა იქნება ჩვენთვის XXI საუკუნე – „მამა თუ მამინაცვალი“!?	13